



Project funded by
EUROPEAN UNION



საერთო საზღვრები – საერთო გადაწყვეტილებები



მწვანე ტურიზმი და
ისტორიული მემკვიდრეობა
– შავი ზღვის აუზის
განვითარების საფუძვლები

GreeTHiS BSB 305

პროექტის ამოცანები:

- შავი ზღვის აუზში ტრანსსასაზღვრო, ისტორიული მწვანე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ნოუ-ჰაუს გამოყენების გზით, აგრეთვე ისტორიული მემკვიდრეობის და დაცული ძეგლების ადაპტაცია კლიმატის ცვლილებების მიმართ და ინოვაციური ბიზნეს მოდელების გაზიარების ხელშეწყობა პროექტში მონაწილე ქვეყნებს შორის;
- ხელსაყრელი ბიზნეს შესაძლებლობების შექმნის მიზნით დაცული ტერიტორიებისა და შენობების გარდაქმნა მწვანე ტურისტულ ბიზნესად;
- დაინტერესებულ პირთა ცნობიერების გაზრდა ისტორიული ძეგლების კლიმატთან ადაპტაციის სფეროში;
- ისტორიულ ტერიტორიებსა და შენობებზე ენერგომდგრადობის დემონსტრირება, ამ შენობებისა და ტერიტორიების კულტურისა და ადგილობრივი ხასიათის გათვალისწინებით



საქმიანობის ძირითადი ჯგუფები

ჯგუფი T1 - ისტორიული მონუმენტებისა და ძეგლების ენერგოეფექტურობისა და კლიმატთან თავისებური ადაპტირება

ამ ჯგუფის მიზანი გახლავთ, განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფების შესაძლებლობების გაზრდისთვის, ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც საპილოტე ობიექტების ტექნიკურ მხარდაჭერას გულისხმობს და ამავდროულად ემსახურება ისტორიული მონუმენტების ენერგოეფექტურობისადმი ადაპტირებას და დაცვის მოდელის შექმნას;

ჯგუფის მეორე მიზანი გახლავთ მწვანე ტურიზმის პელექტრონული ლატფორმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და ურთიერთკავშირის გაღრმავებას;



T1 ჯგუფის შედეგები:

- (1) მწვანე ტურიზმის ერთობლივი ელექტრონული კატალოგის შექმნა
- (2) საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის 3 ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა;
- (3) ისტორიული მონუმენტებისა და ტერიტორიების ენერგოეფექტურობისა და კლიმატისადმი მდგრადობის ინოვაციური ტექნოლოგიების საბაზრო კვლევა;
- (4) იმ ტექნოლოგიების, მწარმოებლებისა და დისტრიბუტორების ჩამონათვალი, რომლებიც მუშაობენ პროექტის განმახორციელებელ ქვეყნებში;
- (5) ინოვაციური ტექნოლოგიებისა კატალოგი;
- (6) დაცულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ტექნიკური დახმარება;

ჯგუფი T2 - შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მდებარე დაცული ტერიტორიების კონსერვაციის მნიშვნელოვანი ტერიტორიები და მათი მონიტორინგის შესაძლებლობები

აღნიშნული კომპონენტი ხელს შეუწყობს შავი ზღვის აუზის ტრანსსასაზღვრო, მწვანე და ისტორიული ტურიზმის განვითარებას, რაც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას ისეთ საკითხებზე, რეგორებიცაა: მემკვიდრეობის დაცვა, ისტორიული და დაცული ძეგლების ენერგო-ეფექტურობასთან და კლიმატთან ადაპტაციის ტექნოლოგიების კვლევა და ინოვაციური ბიზნეს მოდელების გაზიარების ხელშეწყობა პროექტში მონაწილე ქვეყნებს შორის;



T2 ჯგუფის შედეგები:

- (1) შავი ზღვის აუზის ისტორიულ-ტურიზმსა და მის მწვანე ასპექტებზე გზამკვლევის შექმნა;
- (2) შავი ზღვის ტრანსსასაზღვრო ადგილების ვირტუალური გიდი;
- (3) შავი ზღვის აუზის ისტორიული და კულტურული ტურიზმის ბაზრის პოტენციალის კვლევა;
- (4) სემინარები დაინტერესებულ პირთათვის;
- (5) ექსკურსიები ისტორიულ და კულტურულ ტურისტულ ობიექტებზე;

ჯგუფი T3- ბიზნესი ისტორიაში - შავი ზღვის აუზში მწვანე ტურიზმის შესაძლებლობების განვითარება და გამოცდილებების გაზიარება

ამ კომპონენტის მიზანი გახლავთ დაინტერესებული მხარეებისთვის მწვანე ტურისტულ ბიზნესში შესაძლებლობების შექმნა;

დაცული შენობების ენერგოეფექტურობისადმი ადაპტირების მექანიზმებზე გამოცდილებების გაზიარება პროექტში მონაწილე ქვეყნებს შორის;

კომპონენტის მეორე მიზანი გახლავთ სამიზნე ჯგუფების ჩართულობით, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დონეებზე, ბიზნეს ურთიერთობების გაძლიერება, რაც თავის მხრივ ვხელს შეუწყობს მრავალმხრივ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას;



T3 ჯგუფის შედეგები:

- (1) სასწავლო ვიზიტები, რომელთა მიზანიც გახლავთ შავი ზღვის აუზის მწვანე ტურიზმის შესახებ დაინტერესებულ პირთა შორის გამოცდილებებისა და ცოდნის გაზიარება;
- (2) საერთაშორისო სემინარები - “ბიზნეს საუზმე”;
- (3) მწვანე ტურისტული “ვიქენდები”;
- (4) საერთაშორისო ფორუმები - მათი მიზანი გახლავთ დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერების ამაღლება თანამედროვე მიდგომებზე ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ტურიზმი და მწვანე წარმოება, რაც ხელს შეუწყობს შავი ზღვის აუზის ქვეყნებში მწვანე ტურიზმის განვითარებას;

კეტივობების საინვესტიციო ჯგუფები

ჯგუფი 11 - ისტორიული და მწვანე ტურიზმის საკვილოთა შენობა - ბულგარეთი

ისტორიული შენობის რეაბილიტაცია და მისი ტურისტულ ობიექტად ტრანსფორმაცია. ბულგარეთის ძველ ქალაქ ვარნაში გამოიყოფა ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ტურისტული მარშრუტის ხილვა;

ჯგუფი 12 - ისტორიული და მწვანე ტურიზმის საკვილოთა შენობა - უკრაინა

საკვილოტე საინვესტიციო ობიექტი გახლავთ ისტორიული მუზეუმი, რომელიც მდებარეობს ოდესის ოლქში, მდინარე დუნაის სანაპიროს ისტორიულ ქალაქ იზმაილში; ჯგუფის მიზანია არსებული მუზეუმის ენერგოეფექტური მოდერნიზაცია

ჯგუფი 13 ისტორიული და მწვანე ტურიზმის საკვილოთა შენობა- საბერძნეთი

შემოთავაზებული საინვესტიციო პროექტი ითვალისწინებს საბერძნეთში მდებარე ორესტიადას მუნიციპალიტეტში კარათეოდორისის საგამოფენო ცენტრის განვითარებასა და ვიზუალიზაციას.

პროექტის ხანგრძლივობა - 30 თვე
პროექტის კონსორციუმი შედგება შავი ზღვის აუზში
მდებარე 6 ქვეყნის 6 ორგანიზაციისგან:

ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივ ხელისუფალთა
კავშირი

ორესტიადას მუნიციპალიტეტი (საბერძნეთი)

ტრანსასაზღვრო თანამშრომლობისა და ევროპული
ინტეგრაციის სააგენტო (მოლდოვეთი)

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა
ეროვნული ასოციაცია

ქალაქ იზმაილის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
(უკრაინა)

„ქვემო დუნაის ევრორეგიონის“ ტრანსასაზღვრო
თანამშრომლობის ასოციაცია (რუმინეთი)



ლიდერი პარტნიორი: ბულგარეთის შავი ზღვის ადგილობრივ ხელისუფალთა კავშირი
მისამართი: პრესლავის ქუჩა #4, ქალაქი ვარნა, ბულგარეთი
ტელეფონი +35952600266/+359887290377
ელ.ფოსტა office@ubbsla.org/energy@ubbsla.org
ვებგვერდი: www.ubbsla.org

პარტნიორი 1: ტრანსასაზღვრო თანამშრომლობისა და ევროპული ინტეგრაციის სააგენტო
მისამართი: 31 აგვისტოს ქუჩა #23/4, ქალაქი კაპული, მოლდოვეთი
ტელეფონი: +373/299-26968/+373/79677501
ელ.ფოსტა: iacobajder@yahoo.fr/vajder@yahoo.com
ვებგვერდი: www.actie.org.md

პარტნიორი 2: ქალაქ იზმაილის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
მისამართი: სუვოროვოს გამზირი #62, ქალაქი იზმაილი, უკრაინა
ტელეფონი: +380484120036/+380674829055
ელფოსტა: ispolkom@izmail.odessa.gov.ua/as-dei.euroregion@gmail.com
ვებგვერდი: www.izmail-rada.gov.ua

პარტნიორი 3: ორესტიადას მუნიციპალიტეტი
მისამართი: ვასილევოს კონსტანტინუს ქუჩა # 11, ქალაქი ორესტიადა, საბერძნეთი
ტელეფონი: 2552350300 - 301/302552350361
ელ. ფოსტა: mayor@orestiada.gr/m.paraskevo-poulou@orestiada.gr
ვებგვერდი: www.orestiada.gr

პარტნიორი 4: საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
მისამართი: აკ. ბელიაშვილის ქუჩა # 142, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995322726735 /+995322726735
ელ.ფოსტა: dmelua@nala.ge
ვებგვერდი: www.nala.ge

პარტნიორი 5: „ქვემო დუნაის ევრორეგიონის“ ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის ასოციაცია
მისამართი: ეროლორი # 64
ტელეფონი: 0040236411022/0040740179729
ელ.ფოსტა: actedj@gmail.com
ვებგვერდი: www.portal-edj.ro

შავი ზღვის აუზის ერთობლივი სოპერაციული პროგრამა 2014-2020
შავი ზღვის აუზის ერთობლივი ოპერაციული პროგრამა 2014-2020 ხორციელდება ევროკავშირის ევროპული სამეზობლო და პარტნიორული ინსტრუმენტის (ENP) ფარგლებში. მასში მონაწილეობენ შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, მოლდოვეთი, რუმინეთი, თურქეთი, უკრაინა და საქართველო